პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2022 წელი

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 30 აგვისტოს №1089 ბრძანებით, მოქალაქე ვარლამ დარსაველიძისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემული, ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონფიგურაციის ცვლილების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 დეკემბრის №669 დადგენილების „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ---------- მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე ვარლამ დარსაველიძისათვის /პ/ნ 60001038996/, ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის ფორმით გადაცემული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა №24 სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სკვერის, ნაკვეთი №1-ის ნაწილის /454,0 კვ.მ. ფართობი, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.22.161/ კონფიგურაციის ცვლილების განხორციელების თაობაზე, უძრავი ქონების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის შესაბამისად.

(საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

,,თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის
2013 წლის 30 აგვისტოს
№1089 ბრძანებით, მოქალაქე ვარლამ დარსაველიძისათვის,
პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემული,
ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების
კონფიგურაციის ცვლილების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, პირადი განცხადების საფუძველზე, მოქალაქე ვარლამ დარსაველიძეს /პ/ნ 60001038996/, თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 30 აგვისტოს №1089 ბრძანებით, პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით, 30 /ოცდაათი/ წლის ვადით, სარგებლობაში გადაეცა, ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება: 1. ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა №24 სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სკვერის, ნაკვეთი №1-ის ნაწილი /454,0 კვ.მ. ფართობი, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.22.161/; 2. ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა №24 სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სკვერი, ნაკვეთი №2 /509,0 კვ.მ. ფართობი, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.22.162/. წლიური ქირა განისაზღვრა 6750.0 /ექვსი ათას შვიდას ორმოცდაათი/ ლარით. საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ერთვოდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების ფართობისა და კონფიგურაციის ამსახველი ინფორმაციის მითითებით. საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, 2013 წლის 2 სექტემბერს, ქალაქ ქუთაისის მერს (წარმოდგენილი უფლებამოსილი პირის სახით) და მოქალაქე ვარლამ დარსაველიძეს შორის, გაფორმდა ,,ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების აღნაგობის ხელშეკრულება №23", სადაც დეტალურად გაიწერა მხარეთა უფლება-მოვალეობები ხელშეკრულების საგნისა და ერთმანეთის მიმართ, პასუხისმგებლობა, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების ვადები და სხვა საკითხები. ხელშეკრულების შესაბამისად, მოსარგებლეს უფლება აქვს გაასხვისოს ან გააქირავოს აღნაგობის უფლება მესაკუთრესთან შეუთანხმებლად.

2021 წლის წლის 13 დეკემბერს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას №19/4421347365-44 განცხადებით მომართა მოაღნაგე ნინო ჟორჟოლიანმა და რიგი ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, ითხოვა, მხარეებს შორის 2013 წლის 2 სექტემბრის ,,ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების აღნაგობის ხელშეკრულება №23"-ის, მე-3 მუხლის, ,,3.1" პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტით, სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების /ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა №24 სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სკვერის, ნაკვეთი №1-ის ნაწილი /454,0 კვ.მ. ფართობი, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.22.161/ კონფიგურაციის ცვლილება, წარმოდგენილი ნახაზის გათვალისწინებით.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება იდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და დაინტერესებულ პირს შორის". 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს. ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მუნიციპალური ქონების განკარგვისას მერის წინადადება ძალაში შედის მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობის მიღების შემთხვევაში.

2013 წელს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩა №24 სახლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სკვერის, ნაკვეთი №1-ის ნაწილი /454,0 კვ.მ. ფართობი, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.01.22.161/ სარგებლობაში გადაცემა განხორციელდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების გამოცემის გზით. მუნიციპალური ქონების განკარგვის სამართლებრივი საფუძვლების აქტების ამ დროისათვის მოქმედი ჩანაწერებით, უძრავი ქონების განკარგვის თაობაზე წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობა მიიღება განკარგულების სახით. საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის თანახმად: 1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. 2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამართლებრივი ნორმების მოთხოვნების შესაბამისად წარმოგიდგენთ, ,,თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 30 აგვისტოს №1089 ბრძანებით, მოქალაქე ვარლამ დარსაველიძისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით გადაცემული, ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კონფიგურაციის ცვლილების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მირზა მამასახლისი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი